

დამტკიცებულია:

საქართველოს საფონდო ბირჟის  
სამეთვალყურეო საბჭოს მიერ,  
ოქმი N2, 2021 წლის 16 მარტი

საჯარო ფასიანი ქაღალდებით გარიგების საქართველოს საფონდო ბირჟაზე  
დაფიქსირების ზოგადი წესი

(ახალი რედაქცია)

1. ეს წესი შემუშავებულია “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” საქართველოს კანონისა და “საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ” ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს (შემდგომში - “მარეგულირებელი ორგანო”) წესის მოთხოვნათა შესაბამისად და განსაზღვრავს საქართველოს საფონდო ბირჟაზე (შემდგომში „ბირჟა“) სავაჭროდ დამკვეთულ საჯარო ფასიან ქაღალდებზე დადებული გარიგების შესახებ ინფორმაციის ბირჟაზე დაფიქსირების წესსა და პროცედურებს.

2. თუ გარიგება საბროკერო კომპანიის ან შესაბამისი ლიცენზიის მქონე ფინანსური ინსტიტუტის მონაწილეობით დაიდო, ისინი ვალდებული არიან გარიგების დადებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე მოახდინონ ფასიანი ქაღალდების რაოდენობისა და ფასის დაფიქსირება ბირჟაზე, მარეგულირებელი ორგანოს და ბირჟის წესების შესაბამისად.

3. თუ გარიგება დადებულია გათვითცნობიერებული (გამოცდილი) ინვესტორების მონაწილეობით, საბროკერო კომპანიის ან შესაბამისი ლიცენზიის მქონე ფინანსური ინსტიტუტის მონაწილეობის გარეშედა საკუთრების უფლების ცვლილებასთან დაკავშირებული ჩანაწერი გაკეთდა რეგისტრატორთან, მაშინ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ვალდებულია გარიგების დადებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე მოახდინოს ფასიანი ქაღალდების რაოდენობისა და ფასის დაფიქსირება ბირჟაზე, მარეგულირებელი ორგანოს წესის, ბირჟის წესების და ბირჟასა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

4. გარიგების დაფიქსირება ხორციელდება ყოველ სამუშაო დღეს ბირჟის მმართველი ორგანოს მიერ განსაზღვრულ დროის პერიოდში სავაჭრო სისტემის ადმინისტრატორისათვის ერთ ეგზემპლარად წარდგენილი დაფიქსირების განაცხადის საფუძველზე (დანართი N1).

5. დაფიქსირების განაცხადში რეკვიზიტებთან ერთად აუცილებლად მითითებული უნდა იყოს ერთი ცალი ფასიანი ქაღალდის ფასი მე-6 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა დაცვით და გარიგების მოცულობა - ფასიანი ქაღალდების რაოდენობა. გარიგების ღირებულების მითითების შემთხვევაში გარიგების ღირებულება აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს ფასიანი ქაღალდების რაოდენობისა და ერთი ცალი ფასიანი ქაღალდის ფასის ნამრავლს. ამასთან, დაფიქსირების განაცხადში ყოველი გარიგება წარმოდგენილი უნდა იყოს ცალ-ცალკე. არ შეიძლება რამოდენიმე გარიგების გაერთიანება და ერთ გარიგებად წარმოდგენა დაფიქსირების განაცხადით, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს განიხილება, როგორც მცდარი ინფორმაციის მოწოდება. ამასთან, “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” საქართველოს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული წესით ერთი პირის მიერ ფასიანი ქაღალდების მფლობელებისაგან ფასიანი ქაღალდების იდენტური პირობით შეძენის შემთხვევაში, დაფიქსირების განაცხადში უნდა მიეთითოს აღნიშნული მუხლის საფუძველზე განხორციელებული გარიგებ(ებ)ის შესაბამისად შეძენილი ერთი ცალი ფასიანი ქაღალდის ფასი, შეძენილი ფასიანი ქაღალდების ჯამური ოდენობა და გარიგების ჯამური ღირებულება. პასუხისმგებლობა დაფიქსირების განაცხადით წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე ეკისრება განაცხადის წარმომდგენს.

6. არასაბირჟო გარიგების დაფიქსირების შემთხვევაში:

ა) გარიგების ფასი ფასიანი ქაღალდის ერთეულზე წარმოადგენს რიცხვს, რომელიც შედგება არაუმეტეს 7 (შვიდი) ციფრისაგან, ამასთან მძიმის შემდეგ ციფრების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5-ს (ხუთს);

ბ) გარიგების მაქსიმალური მოცულობა (ფასიანი ქაღალდების რაოდენობა) მკაცრად უნდა იყოს 100 000 000 000-ზე (ასი მილიარდი) ნაკლები.

იმ შემთხვევაში, თუ გარიგების მოცულობა აღემატება ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მოცემულ პარამეტრებს, შესაძლებელია საბროკერო კომპანიის, შესაბამისი ლიცენზიის მქონე ფინანსური ინსტიტუტის ან რეგისტრატორის წერილობითი განცხადების საფუძველზე სისტემის ადმინისტრატორის მიერ ამ გარიგების სავაჭრო სისტემაში ასახვა რამოდენიმე ლოტად დაყოფის გზით. ამ ხერხით დაფიქსირება წარმოადგენს ერთი გარიგების დაფიქსირებას და ამგვარად აისახება ბირჟის ოფიციალურ ანგარიშებში და ვებ-გვერდზე.

7. არასაბირჟო გარიგების დაფიქსირება სავაჭრო სისტემაში შესაძლებელია:

ა) საბროკერო კომპანიების, შესაბამისი ლიცენზიის მქონე ფინანსური ინსტიტუტების, ან რეგისტრატორების მიერ ბირჟის გარეთ დადებული გარიგების დაფიქსირების განაცხადის წარდგენის გზით, რომლის ასახვა სავაჭრო სისტემაში ხორციელდება სისტემის ადმინისტრატორის მიერ;

ბ) საბროკერო კომპანიების ან შესაბამისი ლიცენზიის მქონე ფინანსური ინსტიტუტების მიერ სავაჭრო სისტემის გამოყენების გზით, “საქართველოს საფონდო ბირჟის” ვაჭრობის წესებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

8. დადებული გარიგების შესახებ ინფორმაციის დაფიქსირება ბირჟაზე ხორციელდება ყოველ სამუშაო დღეს 10:00-დან 13:00-მდე და 14:00-დან 17:00-მდე.

9. თუ განაცხადის ფორმა სწორად და სრულად არის შევსებული, იგი მიიღება ბირჟის თანამშრომლის მიერ, რის შესახებაც კეთდება შესაბამისი აღნიშვნა განაცხადის ასლზე, რომელიც ასეთი სახით უბრუნდება განმცხადებელს.

10. ბირჟაზე სავაჭროდ ან ბირჟის ლისტინგში დაშვებული საწარმოების საჯარო ფასიანი ქაღალდებით გარიგების შესახებ ინფორმაციის დაფიქსირების საკომისიო გადასახდელი გაიანგარიშება, როგორც გარიგების ღირებულების 0.05% (აქციების შემთხვევაში), 0.03% (კორპორაციული ობლიგაციების და დეპოზიტარული ხელწერილების შემთხვევაში), 0.01% (უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟებზე სავაჭროდ დაშვებული ობლიგაციების შემთხვევაში) გარიგების თითოეული მხარისათვის იმ ვალუტაში, რომელშიც ფასიანი ქაღალდი დაშვებულია ბირჟაზე სავაჭროდ და მინიმალური გადასახდელი ერთ გარიგებაზე შეადგენს 50 თეთრს, ამასთან, ზემოაღნიშნული საკომისიო გადასახდელი არ აღემატება 5000 ლარს საჯარო ფასიანი ქაღალდებით საწესდებო კაპიტალში შენატანის შესრულებისას, ან 25 000 ლარს ნებისმიერი სხვა გარიგებისას.

სამთავრობო და მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების, ასევე საერთაშორისო ფინანსური ინტიტუტების ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში დაფიქსირების საკომისიო გადასახდელი შეადგენს 25 ლარს გარიგების თითოეული მხარისთვის.

“ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” საქართველოს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული წესით ერთი პირის მიერ ფასიანი ქაღალდების მფლობელებისაგან ამგვარი ფასიანი ქაღალდების იდენტური პირობით შესყიდვისას, დაფიქსირების საკომისიო გადასახდელი გაიანგარიშება, როგორც მთლიანი გარიგების ღირებულების 0.1%. დაფიქსირების საკომისიოს გადახდა ხდება ფასიანი ქაღალდების შემძენის მიერ იმ

ვალუტაში, რომელშიც ფასიანი ქაღალდი დაშვებულია ბირჟაზე სავაჭროდ, ამასთან მინიმალური გადასახდელი შეადგენს ერთ ლარს და არ აღემატება 50 000 ლარს.

11. დაფიქსირების საკომისიო გადასახდელის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ბირჟის მიერ დაფიქსირების განმახორციელებელი საბროკერო კომპანიისთვის, შესაბამისი ლიცენზიის მქონე ფინანსური ინსტიტუტისთვის ან რეგისტრატორისათვის შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან (ელექტრონული ან დოკუმენტური სახით) არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

12. დაფიქსირების განმახორციელებელი საბროკერო კომპანიის, შესაბამისი ლიცენზიის მქონე ფინანსური ინსტიტუტის ან რეგისტრატორის (შემდეგში “დამფიქსირებელი”) მიერ ბირჟაზე წარმოდგენილ დაფიქსირების განაცხადში მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციაში შეცდომის დაშვების შემთხვევაში მისი გასწორება შესაძლებელია შემდეგი ვადებისა და პირობების დაცვით:

ა) თუ შეცდომა აღმოჩენილია განაცხადის წარდგენის დღეს, დამფიქსირებელს შეუძლია გარიგების დაფიქსირებამდე, ანუ იმავე სამუშაო დღის 17.00 საათამდე შეცვალოს დაფიქსირების განაცხადი, რისთვისაც მან უნდა წარმოადგინოს ბირჟის მიერ რეგისტრირებული დაფიქსირების განაცხადის თავისი ეგზემპლარი და ახალი დაფიქსირების განაცხადი 2 ეგზემპლარად, ასეთ შემთხვევაში ბირჟა დაუყოვნებლივ მიიღებს ახალ დაფიქსირების განაცხადს;

ბ) თუ შეცდომა აღმოჩენილია გარიგების დაფიქსირების შემდეგ, მაშინ შეცდომის გასწორება შესაძლებელია მომდევნო თვის 14 რიცხვის 17.00 საათამდე, ხოლო თუ ეს რიცხვი ემთხვევა უქმე დღეს, მაშინ მომდევნო სამუშაო დღის 17.00 საათამდე. ამ შემთხვევაში დამფიქსირებელმა ზემოაღნიშნულ ვადამდე უნდა წარუდგინოს ბირჟას დაფიქსირებული გარიგების (გარიგებების) გაუქმების ფორმა (დანართი N2).

გ) გარიგების ხელახალი დაფიქსირებისას (დაფიქსირების განაცხადში დაშვებული შეცდომის გასწორების შემთხვევაში) საკომისიო გადასახდელი გაიანგარიშება, როგორც გარიგების ღირებულების 0.05 % (გარდა სამთავრობო, მუნიციპალურ და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებზე დადებული გარიგების შემთხვევისა) გარიგების თითოეული მხარისათვის იმ ვალუტაში, რომელშიც ფასიანი ქაღალდი დაშვებულია ბირჟაზე სავაჭროდ. მინიმალური გადასახდელი ერთ გარიგებაზე განისაზღვროს 50 თეთრის ოდენობით, ამასთან, აღნიშნული საკომისიო გადასახდელი არ უნდა აღემატებოდეს 500 ლარს.

გარიგების ხელახალი დაფიქსირებისას სამთავრობო, მუნიციპალური და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში დაფიქსირების საკომისიო გადასახდელი განისაზღვროს 25 ლარის ოდენობით გარიგების თითოეული მხარისათვის.

13. გაუქმების შემთხვევაში, დაფიქსირებული გარიგების გასწვრივ ბირჟა საკუთარ ვებ-გვერდზე აკეთებს სპეციალურ კომენტარს, რომ იგი გაუქმებულია და დამფიქსირებლის მიერ მისთვის დანართი N2-ით წარდგენილი ფორმის ასლს ელექტრონული სახით აწვდის მარეგულირებელ ორგანოს.

ივსება ბირჟის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ

ფასიანი ქაღალდებით გარიგებების დაფიქსირების  
განაცხადი № \_\_\_\_\_

ხელმოწერა \_\_\_\_\_

მიღების თარიღი "\_\_\_\_\_" \_\_\_\_\_ 20 \_\_\_\_ წ

ივსება საბროკერო კომპანიის, შესაბამისი  
ლიცენზიის მქონე ფინანსური ინსტიტუტის ან  
რეგისტრატორის მიერ

საბროკერო კომპანიის, შესაბამისი ლიცენზიის მქონე ფინანსური ინსტიტუტის ან  
რეგისტრატორის დასახელება \_\_\_\_\_

**გთხოვთ დააფიქსიროთ შემდეგი გარიგებები:**

ემიტენტის სახელწოდება \_\_\_\_\_

ფასიანი ქაღალდის კლასი \_\_\_\_\_

ფქსსნ \_\_\_\_\_ კოდი სავაჭრო სისტემაში \_\_\_\_\_

გარიგებების სახე (აღნიშნეთ):

- 100 ლარზე ზემოთ ღირებულების  ნასყიდობა სატენდერო შეთავაზებით
- გამოსყიდვა („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად)
- საწესდებო კაპიტალში შენატანის საჯარო ფასიანი ქაღალდებით შესრულება

N*	ერთეულის ფასი**	ფასიანი ქაღალდების რაოდენობა	გარიგების ღირებულება**

\* გარიგებების დიდი რაოდენობისას, დასაშვებია ამ ცხრილის ცალკე დანართის  
სახით წარმოდგენა.

\*\* ფასიანი ქაღალდის ერთეულის ფასი და გარიგების ღირებულება აუცილებლად  
მითითებული უნდა იყოს იმ ვალუტაში, რომელშიც ივაჭრება ბირჟაზე ეს ფასიანი  
ქაღალდი

გარიგებების დადების თარიღი

შენიშვნები:

---



---



---

საბროკერო კომპანიის, შესაბამისი ლიცენზიის მქონე ფინანსური ინსტიტუტის ან რეგისტრატორის უფლებამოსილი წარმომადგენელი /

ბ.ა.

დანართი N2

ივსება ბირჟის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ

დაფიქსირებული გარიგებების გაუქმების  
ფორმა № \_\_\_\_\_

ხელმოწერა \_\_\_\_\_

მიღების თარიღი "\_\_\_\_\_" \_\_\_\_\_ 20 \_\_\_\_ წ

ივსება საბროკერო კომპანიის, შესაბამისი ლიცენზიის მქონე ფინანსური ინსტიტუტის ან რეგისტრატორის მიერ

საბროკერო კომპანიის, შესაბამისი ლიცენზიის მქონე ფინანსური ინსტიტუტის ან რეგისტრატორის დასახელება \_\_\_\_\_

**გთხოვთ გააუქმოთ შემდეგი გარიგების დაფიქსირება:**

ემიტენტის სახელწოდება \_\_\_\_\_

ფასიანი ქაღალდის კლასი \_\_\_\_\_

ფქსსნ \_\_\_\_\_ კოდი სავაჭრო სისტემაში \_\_\_\_\_

N	ერთეულის ფასი*	ფასიანი ქაღალდების რაოდენობა*	გარიგების ღირებულება*

\* ყოველი პარამეტრი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს გასაუქმებელი დაფიქსირების განაცხადის პარამეტრებს

გარიგების დადების თარიღი

გარიგების დაფიქსირების თარიღი \_\_\_\_\_

დაფიქსირების გაუქმების მიზეზები და შენიშვნები:

---

---

საბროკერო კომპანიის, შესაბამისი ლიცენზიის მქონე ფინანსური ინსტიტუტის  
ან რეგისტრატორის  
უფლებამოსილი წარმომადგენელი / \_\_\_\_\_ /

ბ.ა.